ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
„14" 06 2022 წ.
№ 2347

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების
შემსრულებელს ბატონ თეიმურაზ მთივლიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გაცნობებთ, რომ შპს „გეო ენერჯი" ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილი N68ა-ში მდებარე ტერიტორიაზე გეგმავს ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობას და ექსპლუატაციას. საწარმოში დაგეგმილი ერთი 7 მგვა სიმძლავრის ელექტრორკალური ღუმელის დამონტაჟება, რომლის წარმადობა იქნება 0.97 ტ/სთ.

შპს „გეო ენერჯი"-ს მიერ 2022 წლის 14 თებერვალს საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი იქნა სკოპინგის განაცხადი, მაგრამ ადმინისტრაციული წარმოება შეწყვეტილი იქნება სამინისტროს 2022 წლის 7 მარტის N2205/01 წერილით. ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის მიზეზი გახდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კრწანისის რაიონის გამგეობის და ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილები, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს სამრეწველო ზონა 1 -ის ფარგლებში და ამ ტერიტორიაზე დაგეგმილი საწარმოს მოწყობა არ იყო მიზანშეწონილი.

ამის შემდეგ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ 2022 წლის 16 მაისის N04/503 წერილით მიმართა ქ. თბილისის მერიას აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით მათი მოსაზრებების მიწოდების თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის პასუხში (24.05.2022 წ. წერილის N60-01221443849) აღნიშნულია, რომ „სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური არ არის წინააღმდეგი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნათა დაცვით გასცეთ ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილის N68ა-ში (ს/კ N01.18.13.033.139) შავი ლითონის (ფეროშენადნობი) ჩამოსხმის საწარმოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, იმ შემთხვევაში, თუ შპს ,,გეო ენერჯი"-ს მიერ განსათავსებელი ობიექტი არ წარმოადგენს ისეთ ობიექტს, რომელშიც მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები".

გვინდა გაცნობოთ, რომ ჩვენს მიერ სკოპინგის ანგარიშის მომზადებს პროცესში ჩატარებულია საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში მავნე ნივთიერებათა გაბნევის წინასწარი გაანგარიშება და პროგრამული მოდელირება. გაანგარიშების შედეგების მიხედვით, უახლოესი საცხოვრებელი ზონის საზღვარზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების ნორმირებულ მაჩვენებლებზე გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის.

გამომდინარე აღნიშნულიდან წარმოგიდგენთ, შპს „გეო ენერჯი"-ს ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობას და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს დასკვნას.

წერილს თან ერთვის:

- შპს „გეო ენერჯი"-ს ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობას და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „გეო ენერჯი"-ს რეგისტრაციის თაობაზე;

- სკოპინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია და საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის გეოგრაფიული კოორდინატები SHPs ფაილების სახით;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2022 წლის 16 მაისის N04/503 წერილის ასლი;
- სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის 24.05.2022 წლის N60-01221443849 წერილის ასლი.

პატივისცემით,

GEO ENERGY
GEO ENERGY LLC
40532301
შპს გეო ენერჯი

გიორგი ხარატი

შპს „გეო ენერჯი"-ს დირექტორი

10.06. 2022 წ.